გადმოვიდოდა ან ქ-დ, ან ხ-დ, მაგრამ არა ჰ-დ. რჩება „მისაელ", რაც, როგორც ვთქვი, სრულიად თვალნათლად იკითხება. მისაელ საკმაოდ პოპულარული ბიბლიური წმინდანია, ანანიასთან და აზარიასთან ერთად (დან. 1:3–8). თანამედროვე საეკლესიო კალენდარში მათი ხსენება 17 დეკემბერსაა დადებული – „სამთა ყრმათა: ანანიასი, აზარიასი და მისაელისა", მაგრამ ძველი ქართული კალენდრებით (იერუსალიმის ლექციონარი, იოანე-ზოსიმეს კალენდარი, გიორგი მთაწმიდელის სვინაქსარი) მათი ხსენება წელიწადში რამდენჯერმე აღინიშნებოდა.

დაბოლოს, ვფიქრობ, ნეკრესის ნაქალაქარზე საქართველოს ადრექრისტიანული ხანის არქიტექტურის ნიმუშების არქეოლოგიური შესწავლითა და მათი სკრუპულოზური ინტერდისციპლინარული ანალიზით მონოგრაფიის ავტორებმა უდიდესი სამსახური გაუწიეს ქართულ მეცნიერებას. ქართული სატაძრო არქიტექტურის გენეზისის კვლევაში წინ დიდი ნაბიჯი გადაიდგა. ამ წიგნით საბოლოოდ ნათელი მოეფინა ბევრ საკითხს, რაზედაც ოთხი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ცხარე თეორიული დისკუსია. ეს კამათი შესაძლოა, უსასრულოდ გაგრძელებულიყო, ან არაფრით დამთავრებულიყო, რომ არა ეს წიგნი. მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ ეს წერტილი არ არის, არამედ ახლის დასაწყისია.

ნიკო ნიკოლოზიშვილი
ისტორიის დოქტორი, დამოუკიდებელი მკვლევარი

საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშები

საქართველოს დამფუძნებელ კრებას გამორჩეული ადგილი უკავია ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. კრება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო, რომელიც თავისუფალი საქართველოს მოქალაქეებმა დემოკრატიული გზით აირჩიეს 1919 წლის თებერვალში.

130 დეპუტატისაგან შემდგარ, საერთო-სახალხო ნებით შექმნილ ამ წარმომადგენლობით საკრებულოს საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფება და სასიცოცხლო ინტერესები უნდა გამოეხატა.

კრებაში აბსოლუტური უმრავლესობა – 109 წევრი – სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით იყო არჩეული. მათ გარდა, დეპუტატები გახდნენ კიდევ სამი პოლიტიკური ძალის თვალსაჩინო წარმომად-

გენლები: ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, სპირიდონ კედია (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), სამსონ ფირცხალავა, გიორგი ლასხიშვილი შალვა ალექსი-მესხიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია), გრიგოლ ნათაძე, ლეო შენგელაია, ივანე გობეჩია (სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და სხვ. დეპუტატთა შორის ხუთი ქალი იყო, სახელდობრ: მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე, ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე, ანა სოლოღაშვილი და ქრისტინე შარაშიძე.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე აირჩიეს, მის უფროს ამხანაგად (პირველ მოადგილედ) – ალექსანდრე ლომთათიძე, ამხანაგებად (მოადგილეებად) – ექვთიმე თაყაიშვილი და სიმონ მდივანი.

„საქართველოს ცნობიერების გვირგვინი," – ასე უწოდებდა დამფუძნებელ კრებას მისი ერთ-ერთი წევრი, ქართველი ფილოსოფოსი, პროფესორი შალვა ნუცუბიძე.

დამფუძნებელი კრების პრეროგატივა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება და მიღება იყო. იმავდროულად, კრების უფლებებში შედიოდა მთავრობის საერთო კონტროლი, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორების განსაზღვრა, ომის გამოცხადება, უცხო სახელმწიფოებთან დადებული საზავო თუ სავაჭრო ხელშეკრულებათა რატიფიცირება და სხვ.

საქართველოს დამფუძნებელი კრება მუშაობას 1919 წლის 12 მარტს შეუდგა. მან დასაბამი მისცა ფართო კანონშემოქმედებით პროცესს ახალი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს დასამკვიდრებლად, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციის მიღებით დაგვირგვინდა. თავისი მოღვაწეობით კრებამ წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცხოვრებაში, მდიდარი და ნაყოფიერი საქმიანობით შექმნა საყურადღებო გამოცდილება, რომელიც დღემდე ინარჩუნებს არა მხოლოდ შემეცნებით ღირებულებას, არამედ პრაქტიკულ დანიშნულებასაც. ამდენად, ძალზე საგულისხმო და სასარგებლოა გამოცემა, რომელიც საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ძალისხმევით განხორციელდა 2019–2020 წლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკის მრავალ საგამომცემლო პროექტს შორის მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ამსახველი მასალების გამოქვეყნება, კერძოდ: „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ნოე ჟორდანია" ტომი XIII, XIV, XV (თბ., 2018); „საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921). მასალები, დოკუმენტები" (ტ. I, თბ., 2015; ტ. II, თბ., 2018) და

ბოლოს, რვატომეული სახელწოდებით: „საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები“ (თბ., 2019–2020).

დამფუძნებელი კრების სხდომათა ოქმების 8 სოლიდური ტომით სრულად ვეცნობით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონშემოქმედთა მემკვიდრეობას, მათი ორწლიანი საქმიანობის დოკუმენტურ მატიანეს. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919–1921 წწ.) სხვადასხვა დროს აირჩიეს 7 პოლიტიკური პარტიის, 9 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები – სულ 145 დეპუტატი. დამფუძნებელმა კრებამ განიხილა 415 კანონპროექტი, დადგენილება თუ სხვა სამართლებრივი აქტი. კონსტიტუციის გარდა, შეიმუშავა და ოფიციალურად მიიღო 265-ზე მეტი კანონი და დეკრეტი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომათა სტენოგრაფიული ანგარიშები ჯერ ოფიციოზში, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ იბეჭდებოდა, ხოლო მცირე ხნით, ამავე გაზეთის დამატების სახით გამოდიოდა. მას შემდეგ, რაც დამფუძნებელმა კრებამ საკუთარი სტამბა დააარსა, თითოეული სხდომის სტენოგრამა ბეჭდურად, რვეულების სახით, ცალკე გამოიცემოდა (დაუსტამბავი დარჩა 1920 წლის დეკემბრის მეორე ნახევრისა და 1921 წლის წლის იანვარ-მარტის სხდომათა ამსახველი მასალები, რომელთა დედნები, ისე, როგორც კრების ყველა სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში (ფონდი 1833).

ყველა ამ მასალის შეჯერების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის არქივის გამგემ, ისტორიის დოქტორმა ირაკლი იაკობაშვილმა მოამზადა დამფუძნებელი კრების ოქმების ახალი, შევსებული გამოცემა, რომელიც თავდაპირველად 7 ტომად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ დამატებით კიდევ ერთი ტომი გახდა საჭირო.

გამოცემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დაარსებიდან ასი წლისთავს მიეძღვნა. პირველ ტომი იხსნება პროფ. ემზარ ჯგერენაიას წინათქმით. პირველ და მერვე ტომებს ერთვის ირაკლი იაკობაშვილის შესავალი წერილები: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება“ და „რამდენიმე მოსაზრება საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის იანვარ-მარტის დოკუმენტების ფორმისა და შინაარსის შესახებ“.

ყოველ ტომს თან ახლავს ადგილის საძიებლები, პირთა ვინაობის განმარტებები და საძიებლები, ასევე საძიებლებისათვის გამოყენებული ბიბლიოგრაფია. წიგნის რედაქტორი და საძიებლის შემდგენელია მზია ხოსიტაშვილი.

ტექსტში შენარჩუნებულია სხდომათა ოქმების თავდაპირველი ორთოგრაფია და პუნქტუაცია. ამით, როგორც გამომცემლები აღნიშნავენ, საკვლევად მზა მასალა ეძლევათ ენათმეცნიერებსა და სხვა მკვლევართ, რომლებიც ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნა-

ზე მუშაობენ და ქართული ენის ისტორიული განვითარების ეტაპებს შეისწავლიან.

საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომათა ოქმების გამოცემას ხელმძღვანელობდა სარედაქციო საბჭო ირაკლი იაკობაშვილის, მზია ხოსიტაშვილისა და ემზარ ჯგერენაიას შემადგენლობით. მათ გარდა, გამოცემაზე მუშაობდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები: ხათუნა დავითური, შალვა პაპალაშვილი, ნანო ომანაძე, ეკატერინე ჭელიძე, ნელი გიორგაძე, მარინა ალანია, ნელი ნადირაძე, ნელი კაციტაძე, ნათია ხოტენაშვილი და მაია შონია.

წიგნებში მასალა ქრონოლოგიურად ასეა განაწილებული:

I ტომი მოიცავს სხდომებს 1919 წ. 12 მარტიდან 27 მაისის ჩათვლით; II ტომი – 1919 წ. 30 მაისიდან 25 ივლისის ჩათვლით; III ტომი – 1919 წ. 28 ივლისი – 11 ნოემბერი; IV ტომი – 1919 წ. 14 ნოემბერი – 31 დეკემბერი; V ტომი – 1920 წ. 14 იანვარი – 16 მარტი; VI ტომი – 1920 წ. 19 მარტი – 6 ივლისი; VII ტომი – 1920 წ. 9 ივლისი – 31 დეკემბერი; VIII ტომი – 1921 წ. 1 იანვარი – 17 მარტი (ტომის სამეცნიერო რედაქტორი – პროფ. მალხაზ მაცაბერიძე; პირთა და ადგილთა საძიებლის შემდგენელი – ირაკლი იაკობაშვილი).

დასკვნით ტომში თავმოყრილია დამფუძნებელ კრებაში, ზოგადად ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში 1921 წლის იანვარ-მარტში მიმდინარე მოვლენების ამსახველი დოკუმენტები, მათ შორის: დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომათა ოქმები, კრების კომისიების დოკუმენტები, პოლიტიკური პარტიების კონფერენციათა მიმოხილვები, კონსტიტუციის მოსმენისა და განხილვის მასალები და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ ტომში შესული მასალის ნაწილი ბეჭდურად პირველად ქვეყნდება.

დამფუძნებელი კრება საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისთანავე რევკომის საგანგებო დეკრეტით დაითხოვეს. დეპუტატთა ნაწილი იძულებული გახდა, უცხოეთში გახიზნულიყო. საფრანგეთში, პარიზში პერიოდულად იმართებოდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომები, რომელთა ხელნაწერი ოქმები შემორჩენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივში. სასურველია, კიდევ ერთი ტომი ამ მნიშვნელოვანი მასალის გამოცემასაც დაეთმოს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომათა ოქმების PDF ფორმატის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკაში „ივერიელი“.

ოთარ ჯანელიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ficial religion (1st half of the 4th century)". – the authors conclude. Clearly, the Kingdom of Kartli would not be an exception here.

I believe the authors of the monograph did a great service to Georgian science by studying archaeologically and making a scrupulous interdisciplinary analysis of examples of Georgian early Christian period architecture in the city of Nekresi. A great step forward has been made in the study of the genesis of Georgian church architecture. This book finally sheds light on many issues that have been part of a heated debate at the theoretical level for the past four decades. This discussion might have gone on indefinitely, or ended with nothing, if not for this book. It is my hope that this will not prove to be a full stop, however, but instead the beginning of a new period of research.

Dr. Niko Nikolozishvili
Independent Researcher

Verbatim Records of the Constituent Assembly of Georgia

The Constituent Assembly, as the highest legislative body of the country, left an indelible mark on the history of the Democratic Republic of Georgia.

The Assembly, with its rich and fruitful activities, provided excellent experience, which, along with educational value, today has a particularly practical purpose.

The review considers the transcripts of the Constituent Assembly of Georgia, which were published by the National Parliamentary Library of Georgia named after Ilia Chavchavadze in 8 volumes in 2019–2020, under the title: "Constituent Assembly of Georgia. Protocols of the Meeting".

This important matter was chaired by the Editorial Board made up of Irakli Iakobashvili, Mzia Khositashvili and Emzar Jgerenaia.

The publication was dedicated to the 100th anniversary of the founding of the Constituent Assembly of Georgia. This is a documentary chronicle of the legacy of the legislators of the Democratic Republic of Georgia.

Prof. Otar Janelidze
Gori State Teaching University